დამტკიცებულია რექტორის 2018 წლის 12 მარტის N983-03 ბრძანებით

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთათვის გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრირების წესი და პროცედურები

1. ინფორმაციის განთავსება

1. გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამების საკონკურსო პირობების, პროცედურებისა და ვადების შესახებ ინფორმაცია განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

2. ინფორმაცია მიმდინარე კონკურსის შესახებ ასევე გავრცელდება არგუსის, ელ-ფოსტისა და სოციალური ქსელების მეშვეობით. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური რეგულარულად ჩაატარებს საინფორმაციო შეხვედრებს, რომელთა შესახებ ინფორმაცია გავრცელდება ზემოთ მითითებული გზით.

3. უნივერსიტეტის მიერ ადმინისტრირებულ გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილეობის მიზნით დაინტერესებული კანდიდატები ვალდებულნი არიან დაიცვან საკონკურსო პირობები, პროცედურები და ვადები. განაცხადში დაუშვებელია ნებისმიერი ტიპის ცვლილების შეტანა კონკურსის დასრულების შემდეგ.

4. გაცვლითი სტუდენტების შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის წინაპირობები, ისევე როგორც აპლიკანტების შეფასების, შერჩევისა და ნომინირების წესებისა და პროცედურების მოდიფიცირება შესაძლოა მოხდეს კონკრეტული პარტნიორი უნივერსიტეტის მოთხოვნების შესაბამისად. (დამატება 30.09.2021)

2. გაცვლითი სტუდენტების შერჩევა

კონკურსში მონაწილეობის წინაპირობები

2.1. კონკურსანტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) სტუდენტი კონკურსის მიმდინარეობისას უნდა ირიცხებოდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში შესაბამის საფეხურზე და მას უნდა ჰქონდეს აქტიური სტუდენტის სტატუსი;

ბ) კანდიდატებმა განაცხადი უნდა შეიტანონ იმ საფეხურის მობილობაზე, რომელზეც კონკურსის მიმდინარეობისას ირიცხებიან. მაგალითად, ბაკალავრიატის სტუდენტს არ აქვს მაგისტრატურის საფეხურის მობილობაზე განაცხადის შემოტანის უფლება;

ბ[1]) კონკურსანტს მშობლიური უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ვადების დაცვითა და პირობებით უნდა ქონდეს წარმოდგენილი ყველა სავალდებულო დოკუმენტი, რომელიც მითითებულია უნივერსიტეტის მიერ გამოქვეყნებულ საკონკურსო განცხადებაში. კონკურსანტს განაცხადში არჩევანი შეუძლია გააკეთოს მაქსიმუმ ხუთ მასპინძელ უნივერსიტეტზე. მასპიძელი უნივერსიტეტების ჩამონათვალი კონკურსანტმა უნდა დაალაგოს მისთვის პრიორიტეტულობის მიხედვით. მაქსიმუმ ხუთი მასპინძელი უნივერსიტეტის შერჩევის წესი ვრცელდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მიერ ადმინისტრირებულ ნებისმიუერი გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ერთი და იმავე აკადემიურ სემესტრში გამოცხადებულ კონკურსზე(მათ შორის მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ ადმინისტრირებული). (დამატება 30.09.2021)

ბ[2]) სტუდენტს, რომელიც ამავდროულად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომითი ხელშეკრულებით მოწვეული თანამშრომლია, არ უნდა ჰქონდეს შემოტანილი განაცხადი იმავე სემესტრში გაცვლითი პროგრამის ფარგლებში პერსონალის მობილობისთვის გამოცხადებულ კონკურსში; (დამატება 23.10.2020).

სტუდენტისა და პერსონალის სტატუსით მობილობები სხვადასხვა სემესტრში უნდა განხორციელდეს (ცვლილება 18.09.2026.).

ბ[3]) მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტის შემთხვევაში აკადემიური პროგრამები მასპინძელ და მშობლიურ უნივერსიტეტებში უნდა იყოს იდენტური ან მომიჯნავე მიმართულების; (დამატება 4.02.2021)

ბ[4]) საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტი ვალდებულია სააპლიკაციო ფორმაში წარმოადგინოს კურიკულუმის ექსპერტთან შეთანხმებული და ფაკულტეტის დეკანის მიერ ხელმოწერილი სასწავლო ხელშეკრულება მინიმუმ 12 კრედიტის მოცულობის საგნების მითითებით, რომლებიც აღიარებადია სტუდენტის მშობლიური კურიკულუმის ფარგლებში. თუ მასპინძელ უნივერსიტეტს დაწესებული აქვს კრედიტების განსხვავებული მინიმალური რაოდენობა, მათი მოთხოვნა იქნება უპირატესი. აღნიშნულის გათვალისწინება სავალდებულოა როგორც კონკურსის მიმდინარეობისას, ისე შერჩეული კანდიდატების მიერ მობილობის დაწყებამდე. მოთხოვნის შეუსრულებლობა კონკურსის მიმდინარეობისას გამოიწვევს განაცხადის დახარვეზებას. ხოლო მობილობის დაწყებამდე სასწავლო ხელშეკრულების იმგვარი ცვლილება, რომელიც შესაბამისობაში არ იქნება ზემოაღნიშნულ მოთხოვნასთან, შესაძლოა გახდეს მობილობის გაუქმების მიზეზი. (დამატება 12.09.2024)

გ) Erasmus+ გაცვლითი პროგრამის შემთხვევაში კონკურსში მონაწილეობის მიღება არ შეუძლიათ:

> გ.ა) პირველი კურსის ბაკალავრებს;
>
> გ.ბ) არქიტექტურის პროგრამის დამამთავრებელი კურსის ბაკალავრ სტუდენტებს; (ცვლილება 8.10.2018)
>
> გ.გ) მათ, ვისაც უკვე მიღებული აქვთ Erasmus Mundus ან Erasmus+ გაცვლითი პროგრამის გრანტი ანალოგიურ საფეხურზე; გამონაკლისს წარმოადგენენ 1) ის სტუდენტები, რომელთა მობილობა განხორციელდა ე.წ. Erasmus+ ნულოვანი გრანტის ფარგლებში; (ცვლილება 4.03.2021); 2) ის სტუდენტები, რომლებმაც განახორციელეს ან გეგმავენ განახორციელონ მოკლევადიანი მობილობა Erasmus+ Blended Intensive Program (BIP) ფარგლებში; თუმცა შერჩევის პროცესში შესაძლოა უპირატესობა მიენიჭოს იმ სტუდენტს, რომელსაც Erasmus+ პროგრამაში მონაწილეობის გამოცდილება არ აქვს. (ცვლილება 18.09.2026.).
>
> გ.დ) დოქტორანტურის სტუდენტებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს Erasmus Mundus და Erasmus+ გაცვლით პროგრამებში და მათი მობილობების სრული პერიოდი დაგეგმილი მობილობის ჩათვლით აღემატება 12 თვეს;
>
> გ.ე) დოქტორანტურის სტუდენტებს, რომლებსაც არ აქვთ დაცული პროსპექტუსი. გამონაკლისი დაიშვება იმ დოქტორანტი სტუდენტებისთვის, რომლებიც კონკურსის ეტაპზე წარმოადგენენ შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობით თანხმობას, პროსპექტუსის დაცვამდე მათ მიერ საერთაშორისო მობილობის განხორციელების თაობაზე;
>
> გ.ვ) დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებს, რომლებსაც დასრულებული და ჩაბარებული აქვთ სადისერტაციო ნაშრომი; (ცვლილება 01.02.2024.)

დ) (ამოღებულია 01.02.2024).

2.1.1. დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტების კონკურსში მონაწილეობის წინაპირობები (დამატება 8.10.2018)

<u>საბაკალავრო საფეხური:</u>

1. სტუდენტი, რომლის სამომავლო მობილობის პერიოდი ემთხვევა მშობლიურ უნივერსიტეტში დამამთავრებელ სემესტრს და ამავდროულად, გეგმავს საბაკალავრო ნაშრომის მომზადებას, განაცხადების მიღების პერიოდში სხვა სავალდებულო დოკუმენტებთან ერთად წარმოადგენს საბაკალავრო ნაშრომის მშობლიურ უნივერსიტეტში შერჩეული სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილ გეგმას. განაცხადების მიღების პერიოდში სტუდენტს არ მოეთხოვება მასპინძელ უნივერსიტეტში სამეცნიერო ხელმძღვანელის მოძიება. (ცვლილება 18.09.2026.).

<u>სამაგისტრო საფეხური:</u>

2. სტუდენტისთვის, რომლის სამომავლო მობილობის პერიოდი ემთხვევა მშობლიურ უნივერსიტეტში დამამთავრებელ სემესტრს, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულებისა და დაცვის პირობები უნდა განისაზღვროს ინდივიდუალურად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის სამაგისტრო საფეხურის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის სამაგისტრო პროექტისა და ნაშრომის კონცეფციით გათვალისწინებულ მოთხოვნებზე დაყრდნობით. ამასთან, სტუდენტმა განაცხადების მიღების პერიოდში სხვა სავალდებულო დოკუმენტებთან ერთად უნდა წარმოადგინოს სამაგისტრო პროექტის გეგმა, ასევე სამეცნიერო ხელმძღვანელის (მასპინძელი უნივერსიტეტიდან) და თანახელმძღვანელის (მშობლიური უნივერსიტეტებიდან) ხელმძღვანელობაზე თანხმობის წერილები.

3. საბაკალავრო საფეხურისა და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტი ვალდებულია დაიცვას ფაკულტეტის/სკოლის მიერ დადგენილი საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის ვადები. დაუშვებელია საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის დაცვა დისტანციურად.

2.2. სტუდენტების შერჩევის პროცედურა

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ადმინისტრირებული გაცვლითი პროგრამების ფარგლებში სტუდენტების შერჩევის პროცედურას კოორდინირებას უწევს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური.

2. განაცხადების მიღების დასრულების შემდეგ აპლიკანტების შეფასება და ნომინირება მასპინძელ უნივერსიტეტში ხდება ქვემოთ მითითებული ეტაპებისა და პროცედურების დაცვით:

ა) სააპლიკაციო დოკუმენტების განხილვა _ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;

ბ) სააპლიკაციო დოკუმენტების შეფასება _ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;

გ) გასაუბრება კომისიასთან _ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (ზოგიერთ შემთხვევაში პარტნიორ უნივერსიტეტთან ერთად);

დ) კანდიდატთა ნომინირება მასპინძელ უნივერსიტეტში _ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;

ე) საბოლოო შერჩევა _ პარტნიორი უნივერსიტეტი.

3. შერჩევის წესებისა და პროცედურის მოდიფიცირება შესაძლოა მოხდეს კონკრეტული პარტნიორი უნივერსიტეტის მოთხოვნების შესაბამისად. ამასთანავე, მიმღები უნივერსიტეტის მოთხოვნით, შესაძლებელია მოხდეს კონკრეტული კანდიდატის ნომინირება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ოფიციალური წერილის საფუძველზე.

4. შერჩევის კომისიის წევრსა და კონკურსში მონაწილე სტუდენტს შორის არ უნდა არსებობდეს ინტერესთა კონფლიქტი. ინტერესთა კონფლიქტს შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მაშინ, როდესაც:

ა) შერჩევის კომისიის წევრსა და კონკურსში მონაწილე სტუდენტს აკავშირებს უნივერსიტეტის ფარგლებში, კერძოდ გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების მიმართულებით თანამშრომლობა;

ბ) შერჩევის კომისიის წევრსა და კონკურსში მონაწილე სტუდენტს შორის არსებობს ნათესაური კავშირები;

გ) შერჩევის კომისიის წევრი არ უნდა წარმოადგენდეს კონკურსში მონაწილე სტუდენტის სამეცნიერო ნაშრომის (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო) ხელმძღვანელს. ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში კომისიის წევრი ვალდებულია წარმოადგინოს განმარტებითი ბარათი სტუდენტის შეფასების აცილების შესახებ. (დამატება 23.10.2020)

5. მეოთხე ქვეპუნქტში მითითებულ ინტერესთა კონფლიქტის საფუძველზე აცილების მოთხოვნის გამო საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური განსაზღვრავს კომისიის ახალ წევრს, რომელიც არ იქნება კონკურსში მონაწილე სტუდენტთან ინტერესთა კონფლიქტში. აცილების შემთხვევაში, კომისია შეიძლება შედგებოდეს ფაკულტეტის მიერ ნომინირებული 3 პროფესორისგან. (დამატება 23.10.2020)

2.3. ეტაპი I - სააპლიკაციო დოკუმენტების განხილვა

1. შეფასების ამ ეტაპის მიზანია თითოეული აპლიკანტის განაცხადის ვალიდურობის დადგენა. მიღებული საბუთები უნდა შეესაბამებოდეს კონკურსის მოთხოვნებს.

<u>2. ამ ეტაპზე მოწმდება:</u>

ა) თანდართულია თუ არა ყველა სავალდებულო დოკუმენტი;

ბ) სწორედაა თუ არა შედგენილი ყველა სავალდებულო დოკუმენტი;

გ) აკადემიური საფეხურისა და აკადემიური მიმართულების რელევანტურობა;

დ) უცხო ენის ცოდნის დონის შესაბამისობა საკონკურსო მოთხოვნებთან;

ე) აპლიკანტის მიმდინარე სემესტრი/სასწავლო წელი;

ვ) იგივე საფეხურზე გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის გამოცდილება და ხანგრძლივობა.

3. განიხილება მხოლოდ სრულყოფილი განაცხადები, რომლებიც მოიცავს ყველა სავალდებულო დოკუმენტს. დაუშვებელია კონკურსისათვის საჭირო დოკუმენტების არასრულად ან ეტაპობრივად გამოგზავნა. ასეთ შემთხვევაში, კანდიდატი ავტომატურად მოიხსნება კონკურსიდან.

3.[1]. ელექტრონული განაცხადის შევსება უნდა მოხდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ელფოსტის მისამართის გამოყენებით. დაუშვებელია განაცხადის შევსება პირადი და ან სხვა პიროვნების ელექტრონული ფოსტის გამოყენებით. ასეთ შემთხვევებში განაცხადი რჩება განუხილველი. (დამატება 8.10.2018).

4. სააპლიკაციო დოკუმენტები არ განიხილება განაცხადების მიღების ვადის დასრულებამდე, რაც ნიშნავს იმას, რომ არასრულყოფილი განაცხადის გამოგზავნის შემთხვევაში, არ მოხდება სტუდენტის ინფორმირება შერჩევის პირველი ეტაპის დასრულებამდე.

5. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი განაცხადების მიღების ვადის გასვლამდე აღმოაჩენს ხარვეზს მის მიერ გამოგზავნილ განაცხადში, იგი ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს და მხოლოდ ამის შემდეგ აქვს უფლება, თავიდან გამოგზავნოს საბუთები მიმდინარე კონკურსის ვადების გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში, განიხილება ბოლოს მიღებული განაცხადი.

6. შეფასების პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ იმ სტუდენტების ინფორმირებას, რომლებიც ვერ გადავიდნენ მეორე ეტაპზე, უზრუნველყოფს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური. სტუდენტებს ინფორმაცია დაეგზავნებათ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ელ-ფოსტის მისამართზე.

2.4. ეტაპი II - სააპლიკაციო დოკუმენტების შეფასება

1. მეორე ეტაპზე გადასული ვალიდური აპლიკაციების შეფასება მიმდინარეობს წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით აპლიკანტთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე.

2. შეფასება ხდება 0-80-ქულიანი სისტემით შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად:

ქულათა განაწილება
• უცხო ენის ცოდნის დონე _ 40 ქულა (შეფასების სქემა იხ. აქ) • აკადემიური მოსწრება _ 40 ქულა (გათვალისწინებული იქნება სტუდენტის მიერ დასრულებული ყველა საფეხურის და/ან სემესტრის საშუალო შეფასება; მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტების შემთხვევაში, გათვალისწინებული იქნება მიმდინარე და ბოლოს დასრულებული საფეხურის აკადემიური მოსწრების საშუალო მაჩვენებლები და თითოეულს მიენიჭება თანაბარი წილი. (ცვლილება 30.09.2021)

3. სააპლიკაციო დოკუმენტების შეფასების შემდეგ ხდება აპლიკანტების რანჟირება ჯამური ქულების მიხედვით. შეფასების მესამე ეტაპზე (გასაუბრება) დაიშვებიან მხოლოდ ის კანდიდატები, რომელთა ჯამური ქულა მინიმუმ 60-ია. (ცვლილება 4.02.2021)

4. თითოეული კონკურსის ფარგლებში გასაუბრებაზე კანდიდატების მოწვევისთვის დგინდება ჯამური შეფასების ინდივიდუალური ქვედა ზღვარი, რაც დამოკიდებულია ამ კონკურსის ფარგლებში არსებულ კონკურენციაზე, პარტნიორი უნივერსიტეტების მიერ დაწესებულ კვოტებსა და მოთხოვნებზე. პარტნიორი უნივერსიტეტის მოთხოვნის შესაბამისად, უპირატესობა მიენიჭებათ იმ კანდიდატებს, რომელთა ძირითადი (major) პროგრამა მშობლიურ უნივერსიტეტში შეესაბამება მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებულ აკადემიურ მიმართულებას.

5. შეფასების მეორე ეტაპის შედეგების შესახებ სტუდენტების ინფორმირებას უზრუნველყოფს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური. სტუდენტებს ინფორმაცია დაეგზავნებათ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ელ-ფოსტის მისამართზე.

2.5. ეტაპი III - გასაუბრება

1. ამ ეტაპზე ხდება საუკეთესო შეფასების მქონე კანდიდატებთან გასაუბრება.

2. გასაუბრება მიმდინარეობს მასპინძელი უნივერსიტეტის მოთხოვნების შესაბამის უცხო ენაზე.

3. გასაუბრების კომისია შედგება 3 წევრისგან: საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ორი წარმომადგენელი და ფაკულტეტების მიერ ნომინირებული პროფესორი, ან საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ერთი წარმომადგენელი და ფაკულტეტების მიერ ნომინირებული ორი პროფესორი.

4. გასაუბრების მაქსიმალური შეფასებაა 20 ქულა. კომისიის თითოეული წევრი დამოუკიდებლად აფასებს კანდიდატებს მაქსიმუმ 20 ქულით. გასაუბრების საბოლოო შეფასება ხდება კომისიის წევრთა შეფასებების საშუალო მაჩვენებლით. გასაუბრების დროს კომისიის წევრების მიერ გათვალისწინებული იქნება სტუდენტის მოტივაცია, კომუნიკაციის უნარი, პროფესიული მიზნები და ექსტრაკურიკულარული აქტივობები, აკადემიური შესაბამისობა მშობლიურ და მასპინძელ პროგრამებს შორის. (ცვლილება 4.02.2021)

5. სტუდენტის საბოლოო შეფასება განისაზღვრება მეორე (დოკუმენტების შეფასება) და მესამე (გასაუბრება) ეტაპზე მიღებული შეფასებების ჯამური ქულით _ მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა. გასაუბრების შემდეგ

ხდება აპლიკანტების რანჟირება საბოლოო შეფასების ქულების მიხედვით. (ცვლილება 4.02.2021)

6. შეფასების მესამე ეტაპის შედეგების შესახებ სტუდენტების ინფორმირებას უზრუნველყოფს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური. სტუდენტებს ინფორმაცია დაეგზავნებათ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ელ-ფოსტის მისამართზე.

2.6. ეტაპი IV _ კანდიდატთა ნომინირება მასპინძელ უნივერსიტეტში

1. სტუდენტების მასპინძელ უნივერსიტეტში ნომინირებისას გათვალისწინებულია:

ა) კანდიდატთა რანჟირება საბოლოო შეფასების ქულების მიხედვით*;

ბ) მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ დაწესებული კვოტები და მოთხოვნები;

გ) მასპინძელი უნივერსიტეტის იდენტიფიცირებისას, განაცხადის ფორმაში კანდიდატთა მიერ მითითებული პრიორიტეტები. (დამატება 8.10.2018)

2. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური მასპინძელ უნივერსიტეტს მის მიერ დადგენილ ვადებში უგზავნის ნომინირებული და სარეზერვო კანდიდატების სიას სააპლიკაციო დოკუმენტებთან ერთად საბოლოო შერჩევისთვის.

2[1]. კონკრეტულ მასპინძელ უნივერსიტეტში სტუდენტის ნომინირების შემდეგ მისი კანდიდატურა აღარ განიხილება მის მიერ განაცხადში მითითებულ სხვა უნივერსიტეტებში ნომინირებისთვის. აღნიშნული ვრცელდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მიერ ადმინისტრირებული ნებისმიერი გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ერთი და იმავე აკადემიურ სემესტრში გამოცხადებულ კონკურსზე(მათ შორის მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ ადმინისტრირებული).(ცვლილება 30.09.2021)

3. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური აცნობებს როგორც ნომინირებულ, ისე სარეზერვო სიაში მოხვედრილ კანდიდატებს წინასწარი შედეგების შესახებ. სტუდენტებს ინფორმაცია დაეგზავნებათ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ელ-ფოსტის მისამართზე.

*** იდენტური საბოლოო შეფასების მქონე სტუდენტების შერჩევის წესი ნომინირებისთვის:**

ა) იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტებს აქვთ იდენტური საბოლოო შეფასება, უპირატესობა მიენიჭება მესამე მუხლის მეოთხე პუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი კრიტერიუმის დამადასტურებელი ცნობის მქონე სტუდენტს (ცვლილება 12.09.2024.).

ბ) იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტებს აქვთ ინდენტური საბოლოო შეფასება და ასევე ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოება უპირატესობა მიენიჭება ენობრივ კომპეტენციაში უფრო მაღალი ქულის მქონე სტუდენტს; (ცვლილება 8.10.2018)

გ) იმ შემთხვევაში, თუ იდენტური საბოლოო შეფასების მქონე სტუდენტების ენობრივი კომპეტენცია შეფასებულია ერთნაირი საბოლოო ქულით, უპირატესობა მიენიჭება აკადემიურ მოსწრებაში უფრო მაღალი ქულის მქონე სტუდენტს;

დ) იმ შემთხვევაში, თუ იდენტური საბოლოო შეფასების მქონე სტუდენტები ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმების მიხედვითაც არ განსხვავდებიან, მოხდება გასაუბრებაზე მათი განმეორებით დაბარება.

2.7. ეტაპი V - საბოლოო შერჩევა - პარტნიორი უნივერსიტეტი

1. პარტნიორი უნივერსიტეტი ნომინირებული კანდიდატებიდან შეარჩევს საბოლოო გამარჯვებულს მის

მიერ დადგენილ ვადებში, რის შესახებაც აცნობებს შერჩეულ სტუდენტს და/ან საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს.

2. მასპინძელი უნივერსიტეტიდან დადებითი პასუხის მიღების შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია, 3 სამუშაო დღის ვადაში წერილობით აცნობოს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს, თანახმაა თუ არა მიიღოს მონაწილეობა გაცვლით პროგრამაში ამ კონკრეტულ უნივერსიტეტში.

3. იმ შემთხვევაშიც კი, თუ სტუდენტი რამდენიმე მასპინძელი უნივერსიტეტიდან ელოდება პასუხს, იგი ვალდებულია პირველივე პასუხის მიღებიდან 3 სამუშაო დღეში დაადასტუროს ან უარი თქვას მობილობაზე წერილობითი სახით. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური სტუდენტს დაუკავშირდება ელექტრონული ფოსტისა და ტელეფონის მეშვეობით. აღნიშნული ვადის დარღვევა სტუდენტის მხრიდან აღიქმება როგორც უარი და მობილობის შესაძლებლობა ავტომატურად გადაეცემა სარეზერვო სიით შემდეგ კანდიდატს. (ცვლილება 23.10.2020)

2.8. გასაჩივრების წესი

1. სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს მხოლოდ მეორე ეტაპზე მიღებული შეფასება. ზეპირი გასაუბრების შედეგები გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

2. შეფასების მეორე ეტაპის შედეგების გამოცხადებიდან 3 დღის ვადაში სტუდენტს უფლება ეძლევა გაასაჩივროს მიღებული შეფასება. კონკურსანტმა საჩივრის განცხადება უნდა დაწეროს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსის სახელზე და ჩააბაროს უნივერსიტეტის კანცელარიაში ან გამოაგზავნოს ელექტრონულად მისამართზე info@iliauni.edu.ge, ასევე არგუსის საშუალებით. (ცვლილება 8.10.2018)

3. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) სტუდენტის სახელი და გვარი;

ბ) სტუდენტის პირადი ნომერი;

გ) სტუდენტის ტელეფონის ნომერი და ილიაუნის ელ-ფოსტის მისამართი;

დ) მასპინძელი უნივერსიტეტის/უნივერსიტეტების დასახელება;

ე) საჩივრის შინაარსი.

4. საჩივრის მიღებიდან 5 დღის ვადაში საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური განიხილავს შემოსულ საჩივრებს და საბოლოო გადაწყვეტილებას წერილობით აცნობებს კონკურსანტს.

3. სტიპენდია

1. უნივერსიტეტის მიერ ადმინისტრირებული გაცვლითი პროგრამების (Erasmus +) ფარგლებში შერჩეული კანდიდატები ავტომატურად მიიღებენ შესაბამის სტიპენდიას და მგზავრობის ანაზღაურებას წინასწარ დადგენილი ნიხრების შესაბამისად (იხილეთ აქ: Erasmus +). (ცვლილება 01.02.2024.)

2. სტიპენდიას გასცემს მასპინძელი უნივერსიტეტი. სტიპენდიის გაცემის წესი შესაძლოა განსხვავდებოდეს კონკრეტული უნივერსიტეტის ან ქვეყნის შიგნით არსებული რეგულაციების მიხედვით. სტიპენდიისა და მგზავრობის ანაზღაურების საკითხი შერჩეულმა კანდიდატმა მობილობის დაწყებამდე უნდა დააზუსტოს/შეათანხმოს მიმღებ უნივერსიტეტთან.

3. საჭიროების შემთხვევაში, კანდიდატს შეუძლია მიმართოს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს

კონსულტაციისა და მიმღებ უნივერსიტეტთან კომუნიკაციაში დახმარებისათვის.

4. სოციალურად მოწყვლადი და სხვა განსაკუთრებული კატეგორიის (ეგრეთ წოდებული fewer opportunities) სტუდენტებისთვის შესაძლოა ხელმისაწვდომი იყოს დანამატი ყოველთვიურ სტიპენდიაზე, თუკი აღნიშნული გათვალისწინებულია მასპინძელ უნივერსიტეტში მიმდინარე Erasmus + პროექტის ფარგლებში. ამის შესახებ ინფორმაციას მიიღებენ საბოლოოდ შერჩეული სტუდენტები უშუალოდ მასპინძელი უნივერსიტეტის მხრიდან, რომელიც განსაზღვრავს ნაკლები შესაძლებლობების მქონე ჯგუფის კრიტერიუმებს. სხვა შემთხვევებში, როდესაც მასპინძელ უნივერსიტეტს არ აქვს საკუთარი მოთხოვნები, დანამატის მისაღებად სტუდენტის წარდგენა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მხრიდან შესაძლებელია შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე (სტუდენტმა დამადასტურებელი დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს აპლიკაციის ფორმაში):

- მარტოხელა დედის/მარტოხელა მამის სტატუსი;
- მრავალშვილიანი ოჯახის წევრის სტატუსი;
- იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსი;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის სტატუსი;
- სოციალურად დაუცველი პირის სტატუსი;
- მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი;
- საზღვრისპირა ტერიტორიაზე მცხოვრები პირის სტატუსი;
- ტერიტორიული მთლიანობის დაცვისთვის დაღუპულ პირთა ოჯახის წევრის სტატუსი. (ცვლილება 12.09.2024.)

4. გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მონაწილე სტუდენტის საუნივერსიტეტო პროცედურების ადმინისტრირების წესი

გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მონაწილე სტუდენტის საუნივერსიტეტო პროცედურების ადმინისტრირების წესის სანახავად ეწვიეთ ვებ-გვერდს.

5. კრედიტების აღიარება მშობლიურ უნივერსიტეტში

1. კონკურსის შედეგად შერჩეული სტუდენტი ვალდებულია მშობლიურ და მასპინძელ უნივერსიტეტებთან შეათანხმოს და მოამზადოს სამმხრივად ხელმოწერილი (მშობლიური უნივერსიტეტი, მასპინძელი უნივერსიტეტი, სტუდენტი) სასწავლო ხელშეკრულება მასპინძელ უნივერსიტეტში გამგზავრებამდე. (ცვლილება 12.09.2024.)

2. სასწავლო ხელშეკრულების შეთანხმება მშობლიურ ფაკულტეტთან ხდება საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის შუამდგომლობით. სტუდენტმა უნდა გამოგზავნოს შევსებული ხელშეკრულება MS Word-ის ფორმატში მისამართზე erasmusplus@iliauni.edu.ge. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური შეათანხმებს ხელშეკრულებაში მითითებულ საგნებს შესაბამის ფაკულტეტთან და დაუკავშირდება სტუდენტს დეკანის მიერ ხელმოწერილი საბუთის გასატანად. მასპინძელ უნივერსიტეტში ჩასვლის შემდეგ წინასწარ არჩეული საგნების ჩამონათვალში ნებისმიერი ტიპის ცვლილების შეტანის შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია ზემოთ მითითებულ მისამართზე გამოგზავნოს სასწავლო ხელშეკრულების ცვლილების შევსებული გვერდი MS Word-ის ფორმატში. ცვლილების ფაკულტეტთან შეთანხმების შემდეგ საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური გააგზავნის ხელმოწერილ დოკუმენტს ელექტრონულად, საჭიროების შემთხვევაში ორიგინალ საბუთს _ ფოსტით.

3. მას შემდეგ, რაც სტუდენტი მოიპოვებს საბოლოო, ორივე მხრიდან ხელმოწერილ სასწავლო ხელშეკრულებას, იგი ვალდებულია საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს ელექტრონულად მიაწოდოს დოკუმენტის საბოლოო ვერსია. სასწავლო ხელშეკრულება ხელმოწერილი უნდა იყოს სტუდენტის, ასევე მშობლიური და მასპინძელი უნივერსიტეტების მიერ.

4. მშობლიურ უნივერსიტეტში დაბრუნების შემდეგ მასპინძელ უნივერსიტეტშიმოპოვებული კრედიტების აღიარება ხდება შესაბამისი <u>რეგულაციების</u> გათვალისწინებით.

<u>6. შერჩეული კანდიდატების ვალდებულებები</u>

6.1. გამარჯვებული სტუდენტი ვალდებულია:

ა) მასპინძელი უნივერსიტეტებიდან პირველივე დადებითი პასუხის მიღების შემდეგ 3 სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას მიღებულ სტიპენდიაზე, რის შესახებაც წერილობით უნდა აცნობოს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს. 3 დღის ვადის დარღვევის შემთხვევაში, სტუდენტს ავტომატურად მოეხსნება სტიპენდია და გადაეცემა რანჟირების სიის მიხედვით მომდევნო კანდიდატს;

ბ) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გაცვლითი სტუდენტის სტატუსის მინიჭების მიზნით დაიცვას ბრძანებაში (N 10-03) მითითებული ვადები და პროცედურები;

გ) მასპინძელ უნივერსიტეტში მობილობის ვადის ცვლილების შემთხვევაში წერილობით აცნობოს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს და წარმოადგინოს მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ გაცემული შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) დაესწროს გამგზავრებისწინა საორიენტაციო შეხვედრას;

ე) გამგზავრებამდე მოამზადოს სასწავლო ხელშეკრულება, მობილობის პერიოდში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება შეუთანხმოს მშობლიურ ფაკულტეტს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის შუამავლობით; სტუდენტის ვალდებულებაა მიაწოდოს საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურს საბოლოო ორმხრივად ხელმოწერილი სასწავლო ხელშეკრულება;

ვ) დაიცვას მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ვადები და მიაწოდოს საჭირო საბუთები და ინფორმაცია დროულად;

ზ) მასპინძელ უნივერსიტეტთან გაარკვიოს/შეათანხმოს სავიზო პროცედურებთან, დაზღვევასთან და სტიპენდიასთან დაკავშირებული საკითხები;

თ) მოაწესრიგოს საერთაშორისო პასპორტი;

ი) მასპინძელ უნივერსიტეტთან შეთანხმებით მოაგვაროს მასპინძელ ქვეყანაში საცხოვრებლის საკითხი. სტუდენტის მხრიდან ნებისმიერი სახის ცვლილება შეათანხმოს წერილობით მასპინძელ უნივერსიტეტთან;

კ) მასპინძელ უნივერსიტეტში ჩასვლისთანავე დაუკავშირდეს ადგილობრივ კოორდინატორს და მობილობის პერიოდში სისტემატურად აწარმოოს მასთან კომუნიკაცია; ასევე გაითვალისწინოს ადგილობრივი კოორდინატორის მიერ მიღებული მითითებები;

ლ) დაიცვას მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ მობილობის დაწყებისა და დასრულების, ასევე მგზავრობისთვის დადგენილი ვადები;

მ) მობილობის პერიოდში მასპინძელი ქვეყნიდან გასვლის დრო და ვადები წინასწარ შეათანხმოს ადგილობრივ კოორდინატორთან;

ნ) მობილობის პერიოდის დასრულებისა და მშობლიურ უნივერსიტეტში დაბრუნების შემდეგ გამოცხადდეს საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურში შემდგომ საფეხურებთან დაკავშირებული ინფორმაციის მისაღებად;

ო) მობილობის პერიოდის დასრულებისა და მშობლიურ უნივერსიტეტში დაბრუნების შემდეგ სტუდენტი

ვალდებულია მომდევნო სემესტრის დაწყებამდე მოახდინოს მიღებული კრედიტების აღიარება შესაბამისი წესით დადგენილი პროცედურების მიხედვით;

პ) კრედიტების აღიარების მიზნით, სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ გაცემული ნიშნების ფურცელი და საბოლოო, ორმხრივად ხელმოწერილი სასწავლო ხელშეკრულება (მობილობის დაწყებამდე მომზადებული გვერდი და მობილობის დროს შეტანილი ცვლილებების გვერდი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ჟ) იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებული სტუდენტი უარს ამბობს სტიპენდიაზე, იგი ვალდებულია ამის შესახებ წერილობით აცნობოს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს და მასპინძელ უნივერსიტეტს მობილობის დაწყებამდე.

7. მობილობის პერიოდის გაგრძელება მასპინძელ უნივერსიტეტში (დამატება 8.10.2018)

სტუდენტს, რომელიც სარგებლობს ერთსემესტრიანი მობილობით, მასპინძელ უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება შეუძლია მხოლოდ ე. წ. ნულოვანი გრანტის ფარგლებში.

ნულოვანი გრანტი გულისხმობს სტიპენდიის გარეშე მობილობას, თუმცა სტუდენტს ამ დროს უნარჩუნდება გაცვლითი სტუდენტის სტატუსი და თავისუფლდება სწავლის საფასურის გადახდისაგან როგორც მასპინძელ, ისე მშობლიურ უნივერსიტეტში.

მასპინძელ უნივერსიტეტში მობილობის პერიოდის გაგრძელების უფლების მოსაპოვებლად, სტუდენტს არ უნდა ჰქონდეს დაგროვებული მშობლიურ უნივერსიტეტში შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისა და კვალიფიკაციის მინიჭებისთვის საჭირო კრედიტების სრული რაოდენობა, მასპინძელ უნივერსიტეტში მოპოვებული კრედიტების ჩათვლით.

მობილობის პერიოდის გაგრძელების შემთხვევაში, სტუდენტი უნდა აკმაყოფილებდეს მე-2 მუხლის 2.1 პუნქტში მითითებულ მოთხოვნებს. (ცვლილება 18.09.2026.).

8. ფორსმაჟორულ სიტუაციაში მასპინძელ უნივერსიტეტში მობილობის პერიოდის ცვლილება (დამატება 17.06.2020)

ფორსმაჟორულ სიტუაციაში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ნომინირებული სტუდენტის მასპინძელ უნივერსიტეტში მობილობის პერიოდის ცვლილება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ ერთდროულად დაკმაყოფილებულია ქვემოთ მოცემული სამი პირობა:

ა) ფორსმაჟორული ვითარებიდან გამომდინარე მობილობის პერიოდის ცვლილების ინიციატორი არის მასპინძელი უნივერსიტეტი;

ბ) მობილობის პერიოდის ცვლილება თანხვედრაშია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ შიდა საუნივერსიტეტო რეგულაციებთან (იხ. 2.2.1. პუნქტი: დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტების კონკურსში მონაწილეობის წინაპირობები);

გ) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის მიერ გაცემულია თანხმობა მობილობის პერიოდის ცვლილების შემთხვევაში მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული სასწავლო კურსების კურიკულუმის ფარგლებში აღიარების შესაძლებლობის შესახებ.